

# მუხი

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

გაზეთის გამოცემის დღე - ოთხშაბათი

№ 5, 2001 წ. ფასი 30 თეთრი

ინფორმაცია კოლხური კოპიდან

**ვანსაკუთნავით  
საკუნადვარ  
ინფორმაცია**

გვ. 3

მრუდე სარკე და სინამდვილე

ბათიაშვილები საქართველოს საბოლოო დასაქმებულ ახალი „რეპორაჟის“ ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ქმნიან თუ „ბოლს“ უშვებენ?

გვ. 4

ისტორიის გაგებითილება

„წუთისოფელში ქირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლიე წუთისოფელს!“



გვ. 5

## ნოპონ ვეატონა ზეიარ ვაქსან ვენია ნაღს?

გვ. 2

ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან გურაბ დანიუაშვილი:



„ხაეზი, რომლებიც მიიღო და აჟარიდან წამოიღო შვედრენაქემ, ასლან აბაშიძის მიერ გაღებული წყალობა იყო!“

გვ. 4

გაღრები ქუთაისის უახლოესი წარსულიდან

ხუტა ფოფივაქა:

„როგორ გაგვაბუს მახეში

ქუმბერ პატიაშვილის სასარგებლოდ“



გვ. 5

ქრთული სმრტი დღეს

კუჭრის შედეგ ისევ დაგრუნდა ფსევდოლინგვოვაგვა შეფარბარი...  
ცნობიერება შეხებურთმც...  
უფრო მეიც, მათ „აო აო-ვაბთან“ პრეალ, დაემატა წორის „მილანის“ და ქუთაისის ინტერვის“.



გვ. 6

შვედრენაქე-სიგუას მთავრობამ დიდხანს ეპახა „მეგობარი“ რუსეთს, მაგრამ რუსეთმა „მეგობრულად“ ნახევეარი საქართველო ლტოლვილებად აქცინა, წაიღო აფხაზეთის, სამაჩაბლოს... და კიდევ მიაქმს და მიაქმს...

## გენოციდი პნორეუქ-ცეჭით



(სია იხილეთ მე-6 გვერდზე)

ჩვენი გალოგლათობა

წიჭომ ჰქვიას აწამიანციხ ხაავადმყოფო თუკი ზუბაღაძვილმსააშენა?

გვ. 7



# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიუმის განცხადება

2001 წლის 24 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ბიძინა აფრასიძის წარმოდგენილ იქნა მოხსენება მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. მოხსენებაში მოცემულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) რუსეთის სასაზღვრო ძალების მიერ ოკუპაციის, ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ. კერძოდ, ნათქვამია: „1991-92 წლების სამხედრო კრიმინალური გადატრიალება 1993 წელს დასავლეთ საქართველოში უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების – შავი ზღვის რუსეთის სამხედრო-საავიაციო ფლოტის საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოყენება, 1992 წლის 24

ივნისის დაგომისის გარეგანი, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება, 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის, 1993 წლის ივლისის სოჭის, 1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის ხელშეკრულებები, 1993 წელს საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება, 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით რუსეთის სამხედრო ძალებისათვის მინიჭებული საოკუპაციო სტატუსის მოხსნა და მათი სამხედრო ბაზების 25 წლით საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციასთან წარმოადგენს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს მისასვლელის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ გამოხატული ნების უგულვებელყოფას, დემოკრატიული

პრინციპების ხელყოფას, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას, სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულს. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას, როგორც 1921 წელს, 1992 წელსაც კაბიტულაციის ხელი არ მოუწერია, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დეკლარაციაში აგრძელებდა საქმიანობას და 1992 წლის 13-14 მარტს ქ. გროზნოში შეფასება მისცა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს, როგორც სამხედრო, სახელმწიფო გადატრიალებას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით აყვავდა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების

დანიშნის აქტი, გამოცხადდეს ურთიერთობის არ მქონედ. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიუმისა და უზენაესი საბჭოს დეკლარაციაში საქმიანობით თავიდან იქნა აცილებული საქართველოს ფაქტობრივი კონსტიტუციური წყვეტა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და შიდა ქართლის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კაბიტულაციის ხელშეკრულებების გაუქმება, სამართლებრივ-ურთიერთობის ბერკეტების გამოყენებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სტაბილიზაცია საქართველოში. აქვე გთავაზობთ ბ-ნი ბ. აფრასიძის მოხსენების ტექსტს

## საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ

XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შექმნა ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი.

ბარაღელურად ს. ორჯონიძის უშუალო დახმარებით რუსეთის იმპერიამ მიიტაცა სოჭის მხარე, 70-იანი წლებიდან კი ინტესურად დაიწყო აფხაზეთის (აფხუების) პრივილეგიებით აღჭურვა ქართული ერთეულების მოსახლეობის შევიწროების მიზნით. ამასთანავე კრემლის ცრუ პრობლემატიკით მანქანის მეშვეობით უცხოეთში ვრცელდებოდა ყალბი სიყვარული, რომ თითქმისდა საქართველოში იჩაგრებოდა და ერთიანი უმცირესობისა და მის საფუძვლზე, მათ „დასავლად“ შეიქმნა სხვადასხვა პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციები. ასე შეიქმნა: „აიდილარა“, „კრუნი“, „სოიუზი“, „სლავერი სახლი“, „მამული“, „კავკასიის მთელი ხალხთა კონფედერაცია“, „ადამი ნიხასი“, საქართველოს ეროვნული კონგრესი“, „დს-ი“, კახეთა შეიარაღებული ფორმირებები და სხვა.

პრალის დისიდენტთა საერთაშორისო კონფერენციის რეზოლუციაში, საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრის გ. პანტურას ძალისხმევით, ქართველ ერს წაუყენეს ბრალდება ეროვნული უმცირესობისა და ოსთა გენოციდის შესახებ.

გაბიზრავს მიერ საზღვარგარეთ ვრცელდებოდა ქართველების მხრიდან ოსების ცოცხლად დაწვის ყალბი პროპაგანდა.

ქართველი ერის ღამის დამნაშავე ერთად გამოაცხადეს.

1989 წლიდან ევროპისა და აშშ-ში მიმდინარეობდა აგენტურა პროპაგანდა ზვიად გამსახურდიას პიროვნების წინააღმდეგ, რათა ხელი შეეშალის საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებისათვის.

1990-91 წწ. ეროვნული კონგრესის წევრმა - ზ. ევანიამ, დ. ბერძენიშვილმა, მ. გიორგაძემ და სხვებმა დასავლეთ ევროპაში დაიწყეს ზვიად გამსახურდიას „დექლარაციული რეჟიმის“ მხილება.

მათი „საქართველოს მცირე იმპერიის“ შესახებ კრემლმა მოსყიდული ქართველების დახმარებით მოიგო, რამაც უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ავტორიტეტზე, კერძოდ, აფხაზეთისა და შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) ე.წ. კონფლიქტების შეფა-

სებისას. 1991-92 წწ. სამხედრო კრიმინალური გადატრიალებით დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის უდიდესი ტრაგედია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის რღვევა, დემოკრატიისა და თავისუფლების მონაპოვრის წერევა, ე.წ. სამხედრო საბჭოსა და რუსეთის სამხედრო ძალების მიერ განიდევნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა, გაუქმდა ადგილობრივი მმართველობისა და თვით მმართველობის ორგანოები (პრეფექტურები და საკრებულოები); 1992 წლის 21 თებერვალს, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენით, შექმნეს კონსტიტუციური ვაკუუმი, რითაც აფხაზეთის სეპარატისტული მიცვათ საბაბი აღდგინა 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე ანტიკონსტიტუციური აქტით გამოცხადდა აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ყოველივე ზემოთაღნიშნული თბილისსა და სოხუმში, მოსკოვის სცენარით მიმდინარეობდა. უკანონო სახელმწიფო საბჭო არ ფლობდა სამართლებრივ ბერკეტებს აფხაზეთისა და შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) დასაბრუნებლად. ამას თავად ადასტურებს 2000 წლის 27 სექტემბრის სატელევიზიო გამოსვლაში ე. შევარდნაძე: „საქართველო იმ დროს ფაქტურად არ იყო სახელმწიფო, სახელმწიფოს არ ჰყავდა მთავარსარდალი, ხელმძღვანელი, სახელმწიფოს მართვა ოთხეული“.

1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით რუსეთის ჯარებს, ე.წ. სამშვიდობო ძალების სტატუსით, საშუალება მიეცათ მოეხდინათ შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) ოკუპაცია. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემდგომი ბედი, რომელიც 1993 წლის შემოდგომაზე განხორციელდა.

1992 წლის 14 აგვისტოს, არძინაშასა და შევარდნაძის მიერ კრემლის სცენარის მიხედვით მოწყობილი პროვოკაციით, დაიწყო აფხაზეთის ე.წ. კონფლიქტი. საქართველოს უკანონო რეჟიმის მოთხოვნით გულდაუთმონი შეიყვანეს ავღანეთში ნაბარსი 345-ე სადესანტო პოლკი, რომელიც აფხაზეთის სეპარატისტების მხარეზე იბრძოდა და დიდი როლი ითამაშა

გაგრის, ლესელიძის, განთიადის, სოხუმის ოპერაციებში, ქართველთა გენოციდში. რუსეთის პრეზიდენტის ბელკინის, როგორც მთავარსარდალის ბრძანებით საქართველოს ე.წ. სახელმწიფო მეთაურმა ე. შევარდნაძემ ქართულ საჯარისო ფორმირებებს აუკრძალა როგორც გაგრისა და ეშერის მხრიდან გულდაუთმონი შესვლა, ისე ტყუარჩელის აღება. ზემოთაღნიშნულის შესახებ ე. შევარდნაძემ თავის სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა.

1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის სამხმრავი (არძინა, ელცინი, შევარდნაძე) ხელშეკრულების მიხედვით გაგრის ზონიდან გაყვანილი იქნა საჯარისო შენაერთები და სამხედრო ტექნიკა, რის შედეგადაც 1992 წლის 27/9 სექტემბერს ჩაბარდა გაგრა, ლესელიძე, განთიადი, რასაც მოჰყვა ქართველთა მხრიდან უდიდესი მსხვერპლი.

რუსეთის სამხედრო ძალები საქართველოში დისლოცირებული ბაზებიდან ბომბავდნენ სოხუმს, გულრიფშს, ოჩამჩირეს, ქართულ დასახლებებს; რუსეთის ხელისუფლება აიარაღებდა კახელებს, ჩრდილოკავკასიელ მოსახლეებს, აფხაზეთთან და მომხმებთან ერთად ოკუპაციის მშვიდობიან მოსახლეობას; საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება რუსეთის სამხედრო აგრესიის შესახებ დუმდა, რითაც დააფიქსირა კრემლისადმი მორჩილება. ცნობისათვის: 1993 წლის აგვისტოდან 1993 წლის ნოემბრამდე აფხაზეთის სეპარატისტების მხარეზე მებრძოლი რუსეთის სამხედრო ნაწილები შემდეგ შევარდნაძემ გამოიყენა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში.

1993 წლის 27 ივლისის სოჭის სამხმრავი (მოსკოვი, თბილისი, გულდაუთმა) ხელშეკრულებით გადაწყდა აფხაზეთის ტერიტორიის რუსეთისათვის გადაცემა, ვინაიდან ცალმხრივი, ქართული მხარის მიერ საჯარისო ფორმირებებისა და სამხედრო ტექნიკის გამოყენება მოჰყვა რუსეთის სამხედრო ძალების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაცია. ისევე, როგორც სამაჩაბლოში, აფხაზეთში რუსი დამპყრობლები „სამშვიდობო ძალების“ როლში მოგვევლინენ და მათ საკონტროლო ზონებად გალის, ზუგდიდისა და წაღუნის რაიონები გამოაცხადეს. შევარდნაძემ ხელისუფლებამო მოსვლისა და მის შენარჩუნებაში დახმარების სანაცვლოდ რუსეთის სამხედრო ძა-

ლებს საოკუპაციო სტატუსი გაუქმდა და სამხედრო ბაზები (ვაზიანი, ახალქალაქი, ბათუმი, გულდაუთმა) საქართველოში ანტიკონსტიტუციური აქტით 25 წლით დააკანონა. გარდა ამისა სამაჩაბლო, გაგრა, ლესელიძე, ბზიფი, ოთხარა, შრომა, კამანი, ახალდაბა, კოჩარა, სოხუმი, ოჩამჩირე, გალი, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა შევიწროდა ვარდნაძის რეჟიმის შენარჩუნებას.

1994 წლის 4 აპრილს მოსკოვის სამხმრავი ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს უკანონო ხელისუფლებამ ცნო აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და იარაღით ხელში საკუთარი მიწა-წყლის დამცველებს აუკრძალა საკუთარ საცხოვრისში დაბრუნება. ამავე ხელშეკრულებით ღებურტირებს მიცვათ უფლება საკუთარ სახლში დაბრუნებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამშვიდობო დღეები სახელმწიფოებრივ დონეზეა წახალისებული და ფაქტობრივი ხელისუფლება თავის სახეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს.

1998 წლიდან ე.წ. დეზინფორმაციის მოწვევით ე. შევარდნაძე ცდილობს გააუქმოს აფხაზეთის ლეგიტიმური უზენაესი საბჭო და დააკანონოს არიზინა აფხაზეთის პრეზიდენტად. ცნობისათვის: აღნიშნული მცდელობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიერ საპარტეტო გამოსვლებითა და მიმართვებით აღკვეთილი იქნა.

1991-92 წლების სამხედრო კრიმინალური გადატრიალება, 1993 წელს დასავლეთ საქართველოში უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების – შავი ზღვის რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოყენება, 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის გარეგანი, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება, 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის, 1993 წლის 27 ივლისის სოჭის, 1994 4 აპრილის მოსკოვის ხელშეკრულებები, 1993 წელს საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება, 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით რუსეთის სამხედრო ძალებისათვის მინიჭებული საოკუპაციო სტატუსის მოხსნა და მათი სამხედრო ბაზების 25 წლით საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტი-

ტუციის შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციასთან წარმოადგენს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ გამოხატული ნების უგულვებელყოფას, დემოკრატიული პრინციპების ხელყოფას, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას, სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულს.

საქართველოს, როგორც ე.წ. „მცირე იმპერიის“ დაშლის შედეგად მოსკოვმა ეროვნული ხელისუფლების არსებობის პირველსავე დღეებში ააშუშავა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელთა კონსტიტუციური უფლებების გამოყენებით გააუქმა ავტონომიური ოლქი და ანტიკონსტიტუციური აქტით გამოაცხადა ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით გააუქმა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკად გამოცხადების გადაწყვეტილება, რითაც აღსდგა ისტორიული სამართლიანობა შიდა ქართლში (სამაჩაბლოში).

1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბორის ელცინს შორის ხელმოწერილი ოცუთხუთმეტი მხედვით, შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების პრეზიდენტად გამოცხადდა.

# საქართველოს რესპუბლიკის ბერიბორიული მთლიანობის შესახებ

რაციის ხელშეწყობას და გერმანიის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში არ არსებობს არავითარი სახმარებელი რესურსები, არამედ არსებობს შიდა ქართლი, დასაბამიდან ქართული ისტორიული რეგიონი. შიდა ქართლის რაიონში საქართველოს და რუსეთის ბუნებრივად და ისტორიულ საზღვარს წარმოადგენს კავკასიონის დიდი ქედი.

1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ ხუნტის ე.წ. გენერალური პროკურორი ვ.რაზმაძე პრესითა და ტელევიზიით ზოგად გამსახურდას ეროვნულ ხელისუფლებას ადანაშაულებს ოსი ხალხის გენოციდში. მას მთელი ქართველი ერისათვის გამოაქვს ვერდიქტი და ხელ-ფეხს უხსნის რუსეთის ჯარებსა დაოს სეპარატისტებს ქართული სოფლების ასახორბლად, საქართველოდან შიდა ქართლის დე-ფაქტო მოსაწყვეტად.

შეგარდნადის რეჟიმის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დეკლარაციის მიტოვება არის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უხეში დარღვევა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილე საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების უგულვებელყოფა, გაეროს დეკლარაციის, ეუთოს ვენის 1989 წლის კოპენჰაგენის 1990 წლის თაბორის, მსკოვის 1991 წლის ეუთოს კონფერენციის, ჰელსინკის 1992 წლის ეუთოს დეკლარაციისა და სხვა დოკუმენტების იგნორირება.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 3 295 493 ამომრჩეველმა ანუ კენჭის ყრაში მონაწილეთა 99,08%-მა; აფხაზეთის ასსრ-ში სარეფერენდუმო საუბოის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,84%-მა; რეფერენდუმის აღნიშნული შედეგები წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, რომლის ძალითაც დე-იურე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 94,39%-მა.

1991 წლის რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი ის სამართლებრივ-პოლიტიკური დოკუმენტია, რომელსაც ემყარება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, საერთაშორისო სამართლის სრულყოფილებიან სუბიექტად გახდომა, გაეროს, ვეროსაბუქოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება.

დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობაში უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტად უნდა აღიქვას 1991 წლის 26 მაისის პირველი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები. კერძოდ, აფხაზეთის ასსრ-ში 201 ათასი ამომრჩეველადან ბატონ ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა 93,35%-მა. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობამ კიდევ ერთხელ აღიარა ეს კუთხე საქართველოს შემადგენლობაში და მხარი დაუჭირა ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს დამოუკიდებლობის პროკარამს.

1991 წელს აფხაზეთა და ქართველთა ორმხრივ კომისიამ შეიმუშავა ახალი დოკუმენტი საარჩევნო კანონი,

რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი მხარეს უმაღლეს საბჭოში ეძლეოდა დეპუტატის 28 ადგილი (43%), წინამორწვევის უმაღლეს საბჭოში 40,7%-ის ნაცვლად. ქართულ დეპუტაციისათვის გამოიყო 26 ადგილი (40%), წინამორწვევის უმაღლესი საბჭოს 37,9%-ის ნაცვლად. სხვა ეროვნების წარმომადგენლებისათვის რჩებოდა 11 ადგილი ანუ 17%-ი წინამორწვევლობის 21,4%-ის მაგიერ.

აფხაზეთში სიტუაციის შესწავლამ გვიჩვენა, რომ არჩევნების პროცედურის კანონის გარეშე ჩატარებით უმაღლეს საბჭოში იყო ქართული დეპუტაციისათვის 35-38%-ი ადგილების მოპოვება, ვინაიდან კრემლს ამ კუთხეში საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰყავდა, ე.წ. ეროვნული კონგრესის სახით, რომლის პროვოკაციული საქმიანობით მოსალოდნელი იყო ქართული მოსახლეობაში ურთიერთდაპირისპირება, არჩევნების ბოიკოტი, პასიურობა, მნიშვნელოვანი რაოდენობის ხმების დაკარგვა. მართლაც, ე.წ. ეროვნული კონგრესის ანტიეროვნულმა საქმიანობამ ქართველებს იმ 11 ადგილიდან 3 ადგილი დააკარგინა და, შესაბამისად, ქართული ორიენტაციის დეპუტატის მაქვენძებელმა შეადგინა 47,6%-ი (აფხაზეთში ქართული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი), ნაცვლად 52,4%-ისა (ცნობისათვის, წინამორწვევის უმაღლესი საბჭოში ქართული ორიენტაციის დეპუტატის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 37,9%-ს).

ორმხრივი კომისიის შეთანხმებით ქართული მხრიდან უნდა დანიშნულიყო მთავრობის თავმჯდომარე, ძალიან მინისტრები (უშიშროება, შსს) და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, აფხაზეთს კონსტიტუციური ცვლილებისათვის უმაღლეს საბჭოში სჭირდებოდათ ხმების 2/3 ანუ 43 ხმა, ეს მაშინ, როცა ისინი მხოლოდ 36 ხმას ფლობდნენ. ამავ დროს, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121 მუხლის XIII პუნქტით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების მოქმედება, თუკი ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.

კრემლის მიერ ხელოვნურად შექმნილი უკიდურესად დაძაბული ვითარების განმუხტვა, აფხაზეთის კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა აღნიშნული დოკუმენტით საარჩევნო კანონის მეშვეობით. ეს ველაფერი ქართული დიპლომატიის გამარჯვება იყო, ვინაიდან: 1. თავიდან იქნა აცილებული აფხაზეთში კონფლიქტი და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება მოხდა; 2. მოსახლეობის 17,1%-ის მიერ 43%-ი ადგილების მიხედვით განეიტრადა კრემლისა და მისი ქართველი „კონგრესმენების“ მითი საქართველოს, როგორც მცირე იმპერიის შესახებ; 3. აფხაზეთის არჩევნების მაგალითზე დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში აბორიგენი ადგილების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ბალყარელების, ყარააგელების, ჩეჩენების, ინგუშების და სხვ. მთლიანი ეროვნული ლირების აღდგენა და თვითგამორკვევის პროცესი, „კავკასიური სახლის“ მშენებლობის ტემპების დაჩქარება; 4. აფხაზეთში ვითარების ძირითადი ბერკეტები რესპუბლიკის კონსტიტუციით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელში რჩებოდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ეროვნული კონცეფციის რეალიზაციის შემდგომი ნაბიჯი გახლდათ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე 1991 წლის 15 სექტემბერს (აღნიშნული სესიის ჩაშლა მოინდომეს ე.წ. ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებმა) რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრკ-ის (რუსეთის) ჯარებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭება და მათი საქართველოდან, პირველ რიგში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გაყვანის შესახებ.

1991 წლის 21 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ უარი განაცხადა მსმ-ში შესვლაზე (მეორე დღეს - 22 დეკემბერს კრემლმა მომ დაიწყო თბილისში), ვინაიდან ამის უფლებას არ აძლევდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში ხალხის მიერ გამოხატული ნება, რესპუბლიკის კონსტიტუცია, სახელმწიფო მშენებლობის ეროვნული პროგრამა, დავით აღმაშენებლის, ოლა ქაჯუაძის, ზვიად გამსახურდიას მამულიშვილობა, მოსახლეობის უკეთეს მერმისზე ზრუნვა.

1993 წლის აგვისტოში ეროვნული ხელისუფლება აფხაზეთიდან ზუგდიდის გზით უკანონო ხელისუფლებას მძიმე ტერორის გამოტანის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ ხუნტამ ზღვით ფოთამდე მანქანა მოახერხა ამ მოლაპარაკებების გეგმის შესრულება.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას, როგორც 1921 წელს, 1992 წელსაც კაპიტულაციის ხელი არ მოუწერია, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დევნილობაში აგრძელება საქმიანობას და 1992 წლის 13-14 მარტს ქ. გროზნოში შეფასება მისცა 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენებს, როგორც სამხედრო, სახელმწიფო გადატრიალებას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით „ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშნვის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არ მქონედ“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს დევნილობაში საქმიანობით თავიდან იქნა აცილებული სამართლებრივი ვაკუუმი, კონსტიტუციური წყვეტა და ჩვენ ამით საშუალება მოგვეცა, რომ საქართველო კატასტროფიდან გამოვიყვანოთ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას 1992 წლის 23 ივლისის აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლის შესახებ განცხადების თაობაზე აღნიშნავდა, რომ სესამ ქორუმის უჭირლობისა და რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევით მიიღო ანტიკონსტიტუციური აქტი. მან მოსთხოვა გაუქმებინათ აღნიშნული უკანონო გადაწყვეტილება და თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი პროვოკაციები. ბატონი ზვიად გამსახურდიას მიმართადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს: „აფხაზეთში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენისათვის, აფხაზ ხალხის გენოციდისაგან გადარჩენად გთავაზობთ, სასწრაფოდ მოიწვიოთ პარლამენტის სესია და გააუქმოთ გადაწყვეტილება კონსტიტუციის აღდგენის შესახებ... აღადგინეთ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და 1978 წლის კონსტიტუცია“.

1992 წლის სექტემბერში აფხაზეთი და ქართველი ხალხისადმი მიმართავი ბატონი ზვიად გამსახურდიას მოუწოდებდა, არ აპყრობდნენ იმპერიის მესვეურებისა და ადგილობრივი კრიმინალების პროვოკაციებს, შეეწყვიტათ მძათეკლდევი ომი, წინ აღდგომოდნენ საქართველოს კატასტროფას. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 4 მაისს აფხაზი ხალხისადმი მიმართავი წერდა, რომ საომარი მოქმედებების გაგრძელება შესაძლებელია კატასტროფით დამთავრდეს ქართველი და აფხაზი ხალხისათვის.

1993 წლის 20 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას ქართველი ერისადმი, აფხაზეთში დისლოცირებული ყველა ქართველი მეომრისადმი მიმართავი წერს: „... ედუარდ შევარდნაძის ღირსეული მემკვიდრის თამაში აფხაზეთის პრობლემის გარშემო მიზანდასახავს კაპიტულაციას აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის იმპერიალისტური ძალების წინაშე... მზადდება ე.წ. „ცხენვალის ვარიანტი“, სამშვიდობო ძალების შემოყვანა კონფლიქტის ზონაში და სოხუმის ჩაბარება, რასაც დაეყენებით მოითხოვს შევარდნაძისაგან რუსული და აფხაზური მხარე... ჯერ კიდევ ელცინ-შევარდნაძის შეხვედრისას დაიგეგმა სოხუმიდან მძიმე ტერორის და არტილერიის გაყვანა, რაც ნიშნავს სოხუმის დაბრუნებას, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბ.პასტუხოვის მიერ შემოთავაზებული ე.წ. „სამხრეთი ხელშეკრულების“ გეგმაც სწორედ ამას ითვალისწინებს... სოხუმიდან ქართული ჯარის გაყვანა ნიშნავს ქართული მოსახლეობის გაყვანას, ვინაიდან შეიარაღებული ძალების 93%-ს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. სოხუმის ჩაბარება აფხაზეთის ჩაბარება მოჰყვება, ხოლო ყოველივე ამას - ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი და დეპორტაცია...“

1993 წლის 24 სექტემბერს კატასტროფის წინაშე მდგარი აფხაზეთის მოსახლეობის გადარჩენად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით, სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი ზვიად გამსახურდიას ოჩამჩირეში ხვდებოდა უკანონო სამხედრო შეანერთვის მეთაურს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე დებენ აფხაზეთის დაცვა-შენარჩუნების ფიცს. ხუნტის მეთაურის სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად, საჭარისო შეანერთვის მოხსნა იჭენ ფრონდილად და მათი მეთაურები უკან გამოიწვიეს. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებას მოჰყვა არ მარტო სოხუმის, არამედ ოჩამჩირის, გალისა და გულრიფშის ჩაბარება, ქართველი მოსახლეობის ხოცვა და დეპორტაცია.

დღეს, ფაქტობრივი ხელისუფლება ასიმეტრიული რეგიონალიზაციის, ე.წ. ორ თანასწორ უფლებიანი ფედერაციის სუბიექტის ნიღბით ცდილობს აფხაზეთის რესპუბლიკისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, 1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის შეთანხმების სისრულეში მოყვანას. ორი თანასწორ უფლებიანი სახელმწიფოს კავშირი არის არა ფედერაცია, არამედ კონფედერაცია, რომლის სუბიექტებს ნებისმიერ დროს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ცალმხრივად შეუძლია ურთიერთგაშორების შეწყვეტა.

არჩინებას უკანონო რეჟიმი ამტკიცებს, რომ მას გაუუქმეს ავტონომიური წარმონაქმნი, შეიჭრნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და იგი იძულებული გახადეს ყველა საშუალებით დაეცვა მოსახლეობა და ავტონომიური რესპუბლიკა. ამ არაუქმენტების სამართლებრივ-პოლიტიკური საშუალებებით გაბათილება შევარდნაძის უკანონო რეჟიმს არ ძალუძს, ვინაიდან ჯერ ერთი, ხუნტა იურიდიული ტერიტორიული ფორმირების ვერ დაეუბრალება არჩინებას უკანონო ხელისუფლებას, მეორე - შევარდნაძის და არჩინებას რეჟიმი მოსკოვის მითითებების უსტყვო შემსრულებლები არიან.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლებას სამართლებრივ-პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედებით, მოსახლეობის ეროვნული იდეოლოგიით გაერთიანებით არის შესაძლებელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძირითადი ბერკეტებია: 1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენა, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი კაბალურ-კაპიტულანტური ხელშეკრულებების გაუქმება; 2. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის დოკუმენტის გამოყენებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) დე-ფაქტო საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივ-პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება; 3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრივ დადგენილების - სსრკ-ის (რუსეთის) სამხრეთი ძალებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭების, საქართველოს ტერიტორიისადმი, პირველ რიგში - აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დაუყოვნებლივ გაყვანით მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიების და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის გათავისუფლება რუსეთის საოკუპაციო ძალებისაგან. ყოველივე ეს კი საბოლოოდ განდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველზე; 4. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და საქართველოს მთავარსარდალსა და მთავრობის საფუძველზე მოკანონება, ჩრდილოეთ კავკასიაში გაანაწილდეს უზარმაზარი პოლიტიკური კაპიტალი. ბატონ ზვიად გამსახურდიას სრულიად კავკასიის პრეზიდენტად მიიჩნევენ მთელს კავკასიაში, დაწყებული მაიკოპიდან დასავლეთით დამთავრებული 5. კონსტიტუციური უწყვეტობის, სამართალმემკვიდრეობის ბაზის შენარჩუნებით ანუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის, კონსტიტუციის აღდგენა-ფუნქციონირებით შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების, კატასტროფული ნგრევის პროცესის შეჩერება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. იურიდიულ-სამართლებრივი ბერკეტები მხოლოდ ლეგიტიმურ ხელისუფლებას - საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და მთავრობას გააჩნია, ეს კი საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის უმძიმესი პრობლემების გადაწყვეტის მთავარი პირობაა.

### ინფორმაცია კოლხური კომპიდან

### ბანსაკუთრებით საყურადღებო

### ინფორმაცია

2001 წლის 24 თებერვალს თბილისში, კოლხურ კომპი ჩაგარდა ღვენილი კანონიერი ხელისუფლების საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა. დღის წესრიგი:

1. საქართველოს რესპუბლიკის გერიგორიული მთლიანობის შესახებ (მომხს. მუღმივმოქმედი იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ბიმურზა აფრასიძე).
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება დაგომისის ხელშეკრულების შესახებ.
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მოსკოვის სამმხრივი ხელშეკრულების შესახებ.
4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამეგრელოსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გერიგორიაზე განთავსების ანტიკონსტიტუციურ აქტად გამოცხადებისა და საქართველოს რესპუბლიკის გერიგორიიდან რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო სამხედრო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

სეთის ფედერაციის საოკუპაციო სამხედრო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ე.წ. ნულოვანი ვარიანტის შესახებ.

6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისადმი ე.წ. ნულოვანი ვარიანტის შესახებ.

7. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიათა თავმჯდომარეების არჩევნების შესახებ.

8. სხვადასხვა

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუღმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ აირჩია გარიელ ფუკარაძე, სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ - აკაკი მათიაშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარედ - რევაზ კეშელარიძე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხვა დადგენილებებს აქვე ვებეჭადეთ:



### უზენაესი საბჭო

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ

1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულებით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით, რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო სამხედრო ძალებს მიენიჭათ სამშვიდობო ძალების სტატუსი, რითაც მოხდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და შიდა ქართლის (სამაჩხაბლოს) ოკუპაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: ბათილად გამოცხადდეს 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გომბაძე**

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის სამმხრივი ხელშეკრულების, რომელიც დაკავშირებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხთან, ბათილად ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უკანონო ხელისუფლებამ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 1994 წლის 4 აპრილს ქ. მოსკოვში ხელი მოაწერეს ერთობლივ ხელშეკრულებას, რის საფუძველზედაც საქართველოს რესპუბლიკის უკანონო ხელისუფლებამ ფაქტობრივად აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ:

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საქართველოს მოსახლეობის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში გამოხატული ერთსულოვანი ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.
2. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,84%-მა.
3. 1991 წლის 26 მაისს საბრ-

ზიდენტო არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთა 93,35%-მა, რითაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობის პროგრამა და კიდევ ერთხელ დაადასტურა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნა.

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის სესიის დადგენილების მე-3 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს: „ყველა აქტი, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ“;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხებთან, ბათილად იქნეს ცნობილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გომბაძე** თბილისი, 2001 წლის 24 თებერვალი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს არაკანონიერი პარლამენტის მიერ 2001 წლის 16 თებერვალს სსრკ კავშირის ქონებიდან საქართველოს რესპუბლიკის წილის მიღებაზე ე.წ. ნულოვანი ვარიანტის რატიფიკაციის ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს დღევანდელი არაკანონიერი პარლამენტი არის 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებით ხელისუფლებაში მოსული ხუნტის მექვიდრე და იგი არ წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ევრდნობა რა 1992 წლის 13 მარტის თავისივე სესიის დადგენილების იმ მუხლს, სადაც ნათქვამია: „ყველა აქ-

ტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ“ ადგენს:

საქართველოს არაკანონიერი პარლამენტის მიერ 2001 წლის 16 თებერვალს სსრკ კავშირის ქონებიდან საქართველოს რესპუბლიკის წილის მიღებაზე ე.წ. ნულოვანი ვარიანტის რატიფიკაცია ბათილად იქნეს ცნობილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გომბაძე** თბილისი, 2001 წლის 24 თებერვალი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამეგრელოსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განთავსების ანტიკონსტიტუციურ აქტად გამოცხადებისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო სამხედრო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ 1991 წლის 15 სექტემბერს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმალესმა ორგანომ, ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრკ კავშირის შეიარაღებული ძალების საოკუპაციო ძალებად გამოცხადებისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მათი გაყვანის შესახებ.

ამ დადგენილების მე-3 პუნქტი ითვალისწინებდა შემდეგს:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრკ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრკ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ასსრ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგანაც მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში“.

რუსეთის ფედერაციამ, როგორც სსრკ-ს პირდაპირმა სამართალმემკვიდრემ, თავისი საოკუპაციო სამხედრო ძალით განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს მეორე და მესამე ფაქტობრივი ანექსია XX საუკუნეში:

ა) 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება, როდესაც ძალისმიერი გზით განდევნილი იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, გაუქმებული იქნა ადგი-

ლობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები.

ბ) 1993 წლის ნოემბრის სადამსჯელო ოპერაციები საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ.

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო სამხედრო ძალამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ანუ შიდა ქართლის (სამაჩხაბლოს) ტერიტორიაზე მოახდინა მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი, ქართველთა ეთნიკური წმენდა და ამ ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსია.

ამჟამად რუსეთის ფედერაციის იგივე საოკუპაციო სამხედრო ძალებს, საქართველოს რესპუბლიკის უკანონო ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით, მინიჭებული აქვთ ე.წ. სამშვიდობო ძალების სტატუსი და, ფაქტობრივად, ოკუპირებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამეგრელოსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობო ძალების განთავსება გამოცხადდეს ანტიკონსტიტუციურ აქტად და რუსეთის ფედერაციის წინაშე დაისვას საკითხი რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ცენტრის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გომბაძე** თბილისი, 2001 წლის 24 თებერვალი.

მრუდე სარკეში

2001 წლის 8 თებერვლის საქართველოს რადიოს პირველი არხის გადაცემაში „ინფორმაცია განსაცდელის“ ბ-მა ილია კვეციანი...

სინამდვილე

დღევანდელი გელევიბა და განსაკუთრებით პირველი არხი რომ სწორედ სამთავრობო რუპორია და არა ამავე მთავრობისაგან გაუბეღებელი სახელმწიფოს (ან კი სადაა სახელმწიფო?) ინტერესების დამცველი, თვალსაჩინო ხედავს და ბრძან იგრძნობს...

მრუდე სარკე

გაზეთ „ალიას“ 2001 წ. N-ს თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „საქართველოს მოქალაქეებს ორ ადგილზე უშუალოდ უკრძალავენ“...

სინამდვილე

აღნიშნული პროექტით კარგად ჩანს ფაქტობრივი ხელისუფლების „მრუდე“ მოსახლეობამ. ისინი მცირე ხელფასით გაწვავებული და გადაგაკეხული ადამიანების დაბეგვრით ცდილობენ დაიპყრებოდნენ „მილიონ“ სამუშაო ადგილის მოძიებას?

მრუდე სარკე

პარლამენტის წევრი ა. ბათიაშვილი წერს („ალია“ N26 2001 წ.) საქართველოში შესაძლოა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები დაიწყოს, რაც რეკონსტრუქციის გარეშე და ხალხი პრეზიდენტის გადადგომასაც მოითხოვს.

სინამდვილე

1992 წლის იანვრიდან არ შეწყვეტილა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები კანონიერი ხელისუფლების აღდგენის...

ინტერვიუ აპოლიტიკურ ოპონენტთან

ბ-ნი ზურაბ, დღევანდელი გადასახლებიდან რა შეფასებას მისცემდით 1990 წლის 28 თებერვლის მრავალპარტიულ საყოველთაო არჩევნებს? - ეს არჩევნები, მე მგონია, ამ საუკუნის პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი თარიღი და მოვლენაა, რომელმაც საყოველთაო და ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტი დააფიქსირა...

სემობს სპეციფიკური განსხვავებაც. შესაძლებელია, ვთქვათ, იყოს გარკვეული ნიშნით კანონიერი, მაგრამ არ იყოს სამართალმემკვიდრე. მე, პირადად, მონაწილეობა არ მიმიღია და ბოიკოტს ვუცხადებდი იმის გამო, რომ ეს იყო იმ ადამიანების მიერ ჩატარებული არჩევნები, რომლებმაც ერთი წლის წინ სისხლში ჩაასრვეეს ხელისუფლება...

- თქვენ წინააღმდეგი იყავით მათი, მაგრამ გაფიქრებულად და თავად მიიღეთ მონაწილეობა პუტჩისტების მიერ მოწყობილ არჩევნებში. რამ გადაწყვიტეთ ეს, შეიკვალა თქვენი აზრი? - გარკვეული კორექტივი ჩემმა შეხედულებებმა ნამდვილად განიცადა, რამაც გადაამწყვეტინა მო-

უძახო, რომ შენ არა გაქვს უფლება ზემოდან დამაწვეო, არამედ ხიშტი, დანით და ყველა საშუალებით უნდა ეცადო მის მოცილება. ისე, არც იმის გახსენება იქნება ურიგო, თუ გავიხსენებთ, რომ 1990 წლის ოქტომბერში ზ. გამსახურდიამ უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა...

- ვერ კრია 1990 წლის ფიზიკურად არ არსებობდა კანონიერი პარლამენტი, მორიგე პუტჩის შედეგად შეიქმნა „ხიშტი“ ხომ თავის მხრივ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იყო, რომელიც არსებობდა მასშტაბურად და სისხლში მართავდა და ფუნქციონირებს დღესაც?

- ცხადია, უზენაესი საბჭო არსებობდა, დღესაც არსებობს და მით უფრო გულდასაწყვეტია ბევრი შეცდომა, რაც მასთანაა დაკავშირებული. უზენაესმა საბჭომ და მისმა შემადგენლობამ, ხელმძღვანელობამ, ალბათ, უფრო გრძელვადიან, სტრატეგიულ 10-15 წლიან და ნახევარ საუკუნეზე გათვალისწინებულ გეგმაზე უნდა იფიქროს, ვიდრე ნაკლებფუნქციურ განცხადებებზე, აი, ჩვენ მოვედით და ხელისუფლებაში ვართ და ა.შ. მაგრამ თუ სამართლებრივი თვალსაზრისით შევხედავთ, დღეს რა თქმა უნდა, ორხელისუფლებიანობაა. დღევანდელი უზენაესი საბჭოს არ მოუხსნია საკუთარი ფუნქციები, კაბიტულაციას არ გამოუცხადებია და ხელი არ მოუწერია რაიმეზე (მაგალითად დიქციის). თავისთავად ცხადია, გარკვეულ ეტაპზე, გარკვეული მომენტში, როცა შესაბამისი პირობები მომწიფდება, საქართველოში დადგება დრო, როდესაც ასევე აღიარებენ მის კანონიერებასა და სამართალმემკვიდრეობას, როგორც 1990 წლის 28 ოქტომბერს დანიშნული არჩევნების შედეგად უზენაესმა საბჭომ აღიარა იმ ძველი 1921 წლის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სამართალმემკვიდრეობა.

მე ასე ვფიქრობდი: უზენაესი საბჭოს დეპუტატები და ის ხალხი, ვინც ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული, რა თქმა უნდა, არ უნდა მისულოყვნენ არჩევნებზე, მაგრამ სხვები შეიძლება მილოყვნენ. ამ თვალსაზრისით, ასეთი შედარება შეიძლება მოვიყვანოთ - თუ ვინმეს სურს დარჩეს წმინდანად, არ აღიაროს ეს ბინძური ხელისუფლება და არ შევიდეს მის შემადგენლობაში, კი, ბატონო, მაგრამ მე ჩემი უნეტყვია ცოტათი სხვაგვარად წარმომიდგენია. როგორც ბერძნული მითში პერაკლემ ავგიას თავლაში დავალო ნიჩბის ხელი და დაიწყო აუტანელი სიბინძურის გამოყრა გარეთ, ასევე ჩვენც ნიჩბს უნდა წამოვავლიოთ ხელი და ჩვენ-ჩვენი წილი დავსაფლავოთ. უტყუარი მოგვდება, მუნდრიც დავესაფრებო (შეიძლება სახელიც), მაგრამ საბოლოო გამში საქმე გაკეთდება.

- კეთდება კი საქმე? ხომ არ გამოიხაროთ თქვენ თავად გასერილება, ხოლო საქმე ისევე იყოს რიგზე? თქვენ ვერაფერი შეცვალეთ.

- თუ დღევანდელი სიტუაციიდან ვიმსჯელებთ, შეიძლება ამის ილუზია შეიქმნას. ის მომენტი, რომელიც მე წელან აღვნიშნე, დადგება სამართალმემკვიდრეობის აღდგენის დრო - მეტიც, არ დადგება, თუ დღეს ეს შავი სამუშაო ვინმემ არ გააკეთა. ვაკეთებ მე ამ სამუშაოს, როგორც შემიძლია და რატომ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი ვინმე? ასე რომ, უკანონო არჩევნებში, სანამ კანონიერება არ აღდგება, მონაწილეობას ყოველდღის მივიღებ, თუ ვერ დავძარი აღვლიდან დღის ლოდი, ყოველ შემთხვევაში ბატარა ქვას მინც ვესვრი და მინას ჩავუშვებ, რომ ამით ხელისუფლებას დისკომფორტი შევუქმნა და გამოვავიზხოლო...

- ბ-ნი ზურაბ, თქვენ საკრებულოს წევრი ბრძანდებით, დღევანდელი ვაკეთებთ? მაგალითად, ქუთაისში სტალინის ძეგლი დადგეს როგორც საკრებულოს წევრი, რა ზომები მიიღეთ ამ ფაქტის აღსაკვეთად და წყნობად, რა აზრის ხართ მასზე? გამოვიყვანო რამე? რა უნდა ვერ ხედვით, რომ საკრებულოში თქვენსარების ყოფნა მათ უფრო აბლიტირებს? უკანონობას ახანრძლიებს?

- ჩემი აზრი მე საკრებულოს სხდომაზე დავაფიქსირე და დავსვი კითხვა - ვინ გასცა ამ ძეგლის დადგმის ნებართვა - მეტიც; პირადად მე ამის წინააღმდეგი ვარ. თქვენ წარმოიგინებთ, ქალაქის ხელისუფლებამ ყოველნაირად ცხადია, თავი აერიდებია პასუხისმისთვის. პასუხი ვერ გამოვა ვერაფერს, გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა, რომელმაც მრავალმნიშვნელოვანად გამოიწვია ხელი ჩემკენ და მითხრა; როცა ანგრევი, ვის დაეკითხეთ? მეც ვამეცნია, ტაში დავუკარი და ვუთხარა: ყოჩაღ, პირველი თანამდებობის პირის შესაფერის პასუხი გამოეცა - მეტიც.

- გარდა სიტყვიერი წინააღმდეგობისა, რა ზომები მიიღეთ, საქმე რა ვაკეთებთ? ვერაფერი? ხალხს თვალში კი ნაკარი ვერბა თქვენი ამ საკრებულოში ყოფნით.

- აბა, რა გითხარით, სტალინის ძეგლის თომაზე კაცივილის ხმა რომ არ ამოუღია, ავღევი და ქალაქის ხელმძღვანელობას მოთხოვე, დაეღვინათ, ვინ გასცა ქუთაისში ამ ძეგლის დადგმის ნებართვა, დავაყენე საკითხი. პირადად ზურაბის წინააღმდეგ იქნას საქმე, თუ როგორ წდებოდა 10 დღის განმავლობაში უნებართვოდ და უკანონოდ ამ ძეგლის აღმართვა. ეს არის ერთი კაცისაგან, ასე ვთქვათ, ცივილიზებული გზით გასაკეთებელის მაქსიმუმი, მეორე მხრივ, ვერ მიტყმ თავს უფლებას, (არ ვარ იმ სტილის კაცი), თორემ ძეგლს დინამიტს შეველდამდი ქვეშ და როგორც ოთარ იოსელიანის ფილმშია „მფრინავი ფეოტიტები“, ფეხები ქვემოთ დარჩებოდა და ტანი კი პაერში ავიდოდა...



„თუ სპარტოლებრივი თვალსაზრისით უფხვდავთ, დღეს, რა თქმა უნდა, ორხელისუფლებიანობა“

სება? რა პოლიტიკაზე იდებოთ თავად?

- ეს ისეთი წარსული არაა, ვინმეს დაავიწყდეს. ეს იყო სამხედრო კრიმინალური ვადატორიანობა, (ყველაზე მეტად ამ შეფასებას ვეხმობი), რომლის უკან იღა ძველი პარტიული ნომინკლატურა. იგი იკვებებოდა რუსეთიდან მიღებული ფინანსებიდან და დირექტივებით, შემიძლია კატეგორიულად განცხადებდა, ვადებებით უფრო საზოგადოებრივი იყო, ვიდრე 1921 წლის თებერვლი, რევკომისა და ქართველი ბოლშევიკების მოქმედება. ისინი იღვურად გონებადამიწეული იყვნენ, იდგის საფუძველზე მოახდინეს ვადატორიანობა, აქ კი საქმე ვგონდა მერკანტილურ, მეზნანურ იდებზე განაწყენებული ადამიანების მიერ ეროვნული ხელისუფლების დამხობასთან და ყველაზე საშინელი, საზოგადოების არის, რომ ეს ყველაფერი შეგერებული იყო კრიმინალურ ელემენტებთან. მე აქტიურად ვიბრძოდი მათ წინააღმდეგ, რამდენიმე პუბლიცისტური წერილი გამოვაქვეყნე და როგორ გადავრჩი მაშინ, არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენთან რებრესიებს ისეთი სისხლიანი ხასიათი არ ქქონია, როგორც დელაქალაქში, სამეგრელოში... იმავე პოლიტიკაზე ვრჩები ახლაც ამ მოვლენების შეფასებაში.

ნაწილობა მიმელო უკანონო არჩევნებში. 1993-94-95 წლებმა აჩვენა, რომ ეს იყო ეროვნული მოძრაობის დაკნინების, დაკვიმის პერიოდი, ეს იყო ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ხანა. ამან დამარწმუნა, რომ საჭიროა ტაქტიკის მისადაგება შექმნილი მდგომარეობისადმი, როდესაც დღევანდელი „ბაბაია“ უნდა დაუხახო. „ბაბაიას“ დაახება არ ნიშნავს იმას, რომ შენ მის მახეში გაეხა, დათვი ყურმოჭრილი ყმა გახდა. ამ შემთხვევაში დათვი არის პოლიტიკური სიტუაცია, რომელმაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფი აიძულა, ეფორით განსხვავებულ ნაბიჯზე. იყო გარკვეული კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ვარედან ებრძოდნენ ამ ხელისუფლებას და ამტკიცებდნენ მის უკანონობას. მე ვთვლი, რომ არ იქნებოდა ცუდი, თუ გარკვეული ჯგუფი მოახერხებდა შეინით, საკანონმდებლო ორგანოში შეიწყვდა და იქ ტრიბუნის გამოყენებას არსებული ხელისუფლების უკანონობისა და უსუსურობის დასამტკიცებლად.

- მაგრამ ეს ხო უკანონობის დაკანონება, ზვიად გამსახურდიას ხალხს უკანონო არჩევნების ბოიკოტსაკენ მოუწოდებდა, იგი ამათადა, რომ საქართველო აუცილებლად დასტკორდება სამართალმემკვიდრეობა; ანდა, კ ა ნ თ ი ე რ ე ბ ა ს ადღეგნისთვის რა ვაკეთებს მუხრან მაქაგარიანმა, ელიზბარ ვაგვილიძემ და სხვებს უკანონო პარლამენტში შესვლით?

- თავისთავად ცხადია, როცა ასეთ ნაბიჯს გადადგამ, მონაწილეობას მიიღებ ისეთ არჩევნებში, რომელსაც უნდა მოჰყვას ახალი არაკანონიერი ხელისუფლების არჩევა, გარკვეულწილად ნიშნავს, რომ უკანონობის დაკანონებაში იღებ მონაწილეობას. გთხოვთ, საკითხს შევხედოთ არა მხოლოდ კანონიერება-უკანონობის თვალსაზრისით, არამედ გლობალურად და ეს პრობლემა ამ კონტექსტში განვიხილოთ. როცა ცდილობ, ზემოდან დაწოლილი დათვი მოიცილო, რომელიც შენს წინააღმდეგ თათებასა და ვეშებს იყენებს, მარტო ის კი არ უნდა



- ბ-ნი ზურაბ, ადრე ფაქტობრივი ხელისუფლებიდან წამოვიდა „შრიგობის“ ინიციატივა; თქვენ თავადაც უკვე ფაქტობრივი ხელისუფლების წევრი ხართ ადგილობრივი მასშტაბით. ეკ უკვე შრიგობის ხართ? - ეს არის სასაცილო და თავისი აზრით უაზრო ინიციატივა. ვის უნდა შევერიოდე, ვერ ვაკვივ. მე შემიძლია მივიხილო მაგალითი ესპანეთის დიქტატორ ფრანკოსი. როდესაც დამთავრდა სამოქალაქიურებს? უკანონობას ახანრძლიებს?

